**რედაქცია**

გალავინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასოთი მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „Дроэба“.**

---

უმდაბლესად ვსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

---

### შენიშვნა

ბევრნი აყვედრიან თელავის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას, რომ თქვენ სასწავლებელში ცოტა მოწაფენი ასრულებენ კურსსაო, და ამიტომ მაგ სასწავლებლის ორი უფროსი კლასი დაიკეტოსო. ამისთანა სურვილი გამოაცხადა წლევანდელ ეპარქიალურ კრებაზე თვით ეგზარხოსმაც.

თუ თელავის ორი უფროსი კლასი უნდა დაიკეტოს იმისთვის, რომ იქ ცოტანი ასრულებენ სწავლას, და ამ აზრით თუ ვიხელმძღვანელებთ ყოველი სასწავლებლის დაფასებაში, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ აუცილებლად საჭიროა დღესვე დაიკეტოს თბილისის სემინარია, ქუთაისის გიმნაზია და ზოგი ერთი სხვა სასწავლებელნიც. აი რად:

თელავის სასწავლებელში ყოველ წელიწადს ასრულებს ხან 12 შაგირდი, ხან 10, ხან 8 და ხან 4. თუ გამოვიყვანოთ საშუალო რიცხვს, გამოვა რომ ყოველ წელიწადს ასრულებს 5-6 შაგირდი. აქ სწავლობს 160 ყმაწვილამდე; მაშასადამე ყოველ წელიწადს ასრულებს თითქმის 4% პროცენტი.

თბილისის სემინარიამ განათლება უნდა მისცეს მთელს საეგზარხოს სამღვდელოების შვილებს. ამ ჟამად ხუთს სასულიერო სასწავლებლებში სწავლობენ:

თბილისისაში—210,
ქუთაისისაში —750,
სამეგრელოს —450,
ოზურგეთისაში—200 და თელავის—160; სულ 1720.

ისეთი წელიწადი არ არის რომ სემინარიაში 10-ზე მეტმა კურსი შეასრულოს; ზოგჯერ 10-ათზედაც ნაკლები ასრულებს, მაგრამ ჩვენ ავიღოთ „ათი“ საზოგადო ნორმათ კურს დასრულებულებისა. პროცენტობით რომ გამოვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ ყოველ წელიწადს თბილისის სემინარიაში კურსს ასრულებს ხუთი მერვედი პროცენტი ($^5/_8$ %). ქუთაისის გიმნაზიაში ასრულებს აგრეთვე საშუალო რიცხვით ათი; აქ სწავლობს თითქმის რვაასამდინ ყმაწვილი; გამოდის, რომ ყოველ წელიწადს ასში ორიც არ ასრულებს კურსსა.

ცხადია, რომ იმ ლოღიკის ძალით, რომელიც მოთხოვს თელავის სასულიერო სასწავლებლის ორი უფროსი კლასის დაკეტვას, თელავის სასწავლებელზე უფრო ადრე უნდა დაიკეტოს თბილისის სემინარია, რადგან ამაში, პროცენტობის მიხედვით, 6,04 ჯერ ნაკლები ასრულებს და ქუთაისის გიმნაზია, სადაც ასრულებს სამ ჯერ ნაკლები.

ამ პროცენტებს ჩვენ იმიტომ კი არ გამოუდექით, რომ გვინდოდეს ან სემინარია, ან ქუთაისის გიმნაზია დაიკეტოს. არა. ვინ არ ინატრებს და ვის არ ჰსურს, რომ ჩვენში რამდენიმე სემინარია და რამდენიმე გიმნაზია იყოს! ამ რამდენიმე სემინარია—გიმნაზიაში თითოში რომ 8-10-15 ყმაწვილ-კაცმა დაასრულოს სწავლა, გამოვა საგრძნობელი რიცხვი კურს-დასრულებულებისა და ეს ძალიან სასიხარულო იქნებოდა ჩვენთვის. „სულ არა-რაობას ცალი უღელი ხარი სჯობიაო“, ნათქომია; ამის არ იყოს, რა ხეირს დაგვაყრის, იმის მაგივრად ვცდილობდეთ იმ ცალ უღელ ხარს კიდევ მოუმატოთ რამდენიმე, იმასაც ყელი გამოვსჭრათ და ცარიელზე დავრჩეთ!

თუ თელავის სასწავლებელს, რომელსაც არც საკუთარი სახლი აქვს, არც ფულები, რომ გამართოს პანსიონი, არც განათლებული მასწავლებელნი და ამას გარდა გადაგდებულია სადღაც პროვინციაში, სადაც სწავლის საქმეს წინ უხვდება მრავალი დამაბრკოლებელი ფათერაკები, ვამბობ, თუ ამისთანა სასწავლებელს დავაყვედრით და მოვიძულებთ, რომ მცირე ნაყოფი მოგაქვსო, მაშ რამდენათ დასაყვედრი, მოსაძულებელი და გასაკიცხავი არის თბილისის სასულიერო სემინარია, რომელსაც აქვს ჩინებული სახლი, პანსიონი, ჰყავს განათლებული მასწავლებელნი და გამართულია სატახტო ქალაქში?! თუმცა ეს ასეა, მაგრამ არც მე და არც არავის გონიერ კაცს არ მოუვა თავში არც ერთის არც მეორის დაკეტა.

სასწავლებლების დაკეტას კი არ ვცდილობდეთ და ვფიქრობდეთ ჩვენ ახლა, არამედ ერთგულათ, სიყვარულით, ენერგიულის მოწიწებით, და არა გულ-აცრუებით და ფორმალურად, მოვკიდოთ ხელი ამ ჩვენი სასწავლებლების საქმეებს, ჩვენი ღვიძლი შვილების აღზრდას-აღზრდას იმ გვამებისა, რომელთაც მომავალში სოფლის სკოლების მასწავლებლებთან ერთად უნდა სული ჩაუდგან, მიმართულება მისცენ ჩვენ ხალხს, ზნეობით დაცემულობიდგან, სიბნელეთის წყვდიადიდგან გამოიყვანონ ის...

ფისტონი.

---

### აჯამეთის ტყე

მეფეების დროსაც, როდესაც იმერეთში ბევრი კარგი ტყეები იყო, მაშინაც აჯამეთი ძვირფას სიმდიდრეს შეადგენდა იმერეთისას და შესანიშნავი მამულიც იყო. ისე უყვარდათ იმერეთის მეფეებს აჯამეთი, რომ სასახლეც კი ჰქონდათ ვარციხეს, აჯამეთის ნაპირას, და ყოველთვის ზამთრობით ამ ტყეში სცხოვრებდენ.

იმერეთის უკანასკნელი მეფეები დავით და სოლომონი, თუმცა დიდათ უხვი გამცემი იყვნენ, ბევრი მამულები უწყალობეს თავიანთ ერთგულს იმერეთის თავად-აზნაურობას, მაგრამ აჯამეთს კი ერთი ქცევაც არ მოაკლეს; არა თუ ადგილი, ერთს ძირს ხესაც არავის აჭრევინებდენ. ერთის სიტყვით, ამ მამულის შეძენას და დასაკუთრებას აზრათაც ვერავინ წარმოიდგენდა.

შემდეგ მეფეებისა აჯამეთი შეიქნა სახაზინოდ, და დიდს ღონის-ძიებასა და საშუალებას აძლევდა ეს ტყე მცხოვრებლებს შენობისათვის და შეშითაც. არავის არ შეეძლო მოარჩენა უ-ამ-ტყეოდ, უმეტესათ ქუთაისის და შორაპნის მაზრებს, რადგან ამ ორს მაზრას შუა მდებარეობს.

ერთი ნაკვეთი აჯამეთისა პირველად შეიძინა ფრანცუზმა ზამბამ, რომლისაგან იყიდა ანანოვმა.

შემდეგ თითქმის ორზედ უმეტესი ნაწილი ებოძათ ორს ძმებს თავად მირსკებს, ექვსას დესიატინამდის ჟანდიროვს და ოთხასი დესიატინა თავად ირაკლი ბრუზინსკის.

ამ ნაირათ ეს იმერეთის ძვირფასი დიდება სრულებით გადავიდა კერძო პირების ხელში; თუმცა კიდევ არის მცირედი ნაწილი დარჩენილი სახაზინო, მაგრამ თქმათ არა ღირს, ისე ცოტაა.

აჯამეთის ტყეს ასევიან გარშემო რამოდენიმე სოფელი სახაზინო გლეხები. ამათ აღკრძალული აქვსთ ამ ტყეში პირუტყვის გაშვება და ამის გამო დიდს შევიწროებაში არიან.

დღეს ამ კერძო პირებს, გარდა ანანოვისა, ყველას სურსთ გაყიდვა აჯამეთის მამულებისა. რამოდენიმეჯერ იყო ხალხის შეკრებილება, მოინდომეს მირსკის და ნამეტურ ბრუზინსკის ტყის ყიდვა; მაგრამ, რადგან ვერ მიყვნენ ერთი მეორეს, საქმე ვერ დაიბოლოეს. სვირელებს დღესაც ჰსურსთ ბრუზინსკის ტყის ყიდვა; ვილაცა დაპირებია ამათ ამ ტყის ნაწილ ნაწილათ მიყიდვას და ამის მომლოდინე არიან. ამბობენ, რომ თ. ირაკლი ბრუზინსკიმ ძრიელ გულით მოინდომა ტყის მიყიდვა გლეხებზედაო, და ბევრიც უცადათო, მაგრამ ზემოთქმულის მიზეზებით, საქმე არ დაბოლოვდა. ამ დღეებში ბრუზინსკის ტყე დაიარა ვიღაცა ფრანცუზმა და, როგორც ისმის, ყიდვას აპირებს.

ამ ნაირათ, აჯამეთს არა თუ მარტო ჩვენებური კერძო პირები, სხვა ტომის ხალხიც ეს-არის ეპატრონება, და მაშინ აბა რას შეიბრალებს ამ ნაირი მოსული ხალხი საბრალო ჩვენს გლეხობას! ესენი მალე იძულებული შეიქნებიან იქიდამ აიყარონ, რადგან აღარ შეუძლიან ოთხ-ფეხი პირუტყვის ყოლა, ურომლისოთაც გლეხს არსებობა არ შეუძლია.

ყველანი ვხედავთ კავკასიაში ტყეების მდგომარეობას, ისე მოეკიდნენ ყოველი მემამულე თავიანთ ტყეებს, რომ მალე მოისპობა, ნამეტურ იმერეთში, ტყეები, მალე გამიდვრებული იქნება ეს მხარე და სრულებით უტყოთ დავრჩებით.

ძრიელ გასაკვირველია თ. ირაკლი ბრუზინსკი რათ ელევა ამ ძვირფასს ტყეს. თუ კი სამზღვარ გარეთელი კაცი მოდის აქ და ახერხებს ამ მამულით გაკეთებას, ამ დალოცვილს თითონ რა უჭირს, რომ ისარგებლოს... ნუ თუ მას არ ეშოვება ერთი ერთგული სანდო კაცი, რომ მიანდოს ამ ტყეში თავ-ხმელი და ბებერი ხეების მოჭრა, რომლიდამაც წელიწადში ან ასი თუმანი მაინც შემოუვა და ტყე თან-და-თან გაიზრდება, გაკეთდება, და ფასიც მამულისა ყოველ დღე იმატებს? მაგრამ, როგორც სჩანს, არ იცის ამ ტყის ამბავი და ანუ შემდეგში რა დრო მოელის.

მართებლობა რომ მიაქცევდეს ამ საქმეს ყურადღებას და ამ ტყეებს

ისევ ხაზინა დაიხსნიდეს, ძრიელ კარგი იქნება. რაც უნდა ბევრი ფასი მისცეს მეპატრონეებს, მაინც არ იქნება წაგებული, ხაზინაც დიდ-მოგებული დარჩება და ხალხისათვისაც ეს დიდი ბედნიერება იქნება.

Დ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ქარგის ამინდის წყალობით, დიდძალი ხალხი იროდა გუშინწინ ალექსანდროვის ბაღში, სადაც დანიშნული იყო „სეირნობა“ უპატრონო ყმაწვილების თავშესაფარ სახლის სასარგებლოდ. ბაღში რამდენიმე ალაგას სხვა-და-სხვა გვარი მუზიკა უკრავდა, ფერად-ფერადი ფანრებით თითქმის ყველა ხეები გაეჩაღებინათ, გამართული იყო ცოცხალი სურათები და სხვ. და სხვ. მაგრამ ზოგიერთები უწესოებას უჩივოდნენ: მართლაც, „სეირნობის“ გამგებელთ ბილეთები უფრო მომეტებული გაეყიდნათ ცოცხალ სურათების წინ საჯდომ სკამებისა, ვინემ სკამები იყო და ამის გამო ერთსა-და-იმავე სკამზე ხშირად ორი და სამი პრეტენდენტი ჩნდებოდა და იყო ერთი გაცხარებული აყალ-მაყალი და დავიდარაბა.

თუმცა ამგვარი უწესოება იყო, მაგრამ რადგან მაინც დიდ ძალი ხალხი მოგროვდა ბაღში, ამიტომ იმედია, იმ კეთილ საქმისათვის, რომლისთვისაც ეს „სეირნობა“ იყო გამართული, საკმაო ფული შეიკრიბებოდა.

* * *

ორშაბათ საღამოს Თბილისის ქალაქის რჩევამ, სხვათა შორის, გადაწყვიტა მიეცეს ოთხასი მანეთი რეალურ სასწავლებელში სწავლა-დასრულებულ მოწაფეთა, რომელთაც ჰსურთ განაგრძონ სწავლა მაღალსასწავლებელში. ამ მოწაფეთა რიცხვი, როგორც რჩევას მოხსენდა, არის თერთმეტი.

* * *

Თბილისის კლასიკურ გიმნაზიის დირექტორმა ბ. მარკოვმა შემდეგი შენიშნვა დაბეჭდა გაზ. „კავკაზში“ წლევანდელ კურს-შესრულებულ ყმაწვილ-კაცების თაობაზედ.

„წელს სულ 34-მა დაიჭირა გასათავებელი ეგზამენი, ამათგან 33 კლასიკურ გიმნაზიის შაგირდებმა და 1-მაც გარეშე პირმა (მელიქ-შაშაევმა). სულყველამ მიიღო გიმნაზიის კურსის შესრულების („სიმწიფის“) ატტესტატი.

ბ. დირექტორი ჩამოთვლის ყველა კურსს შესრულებულებს; ჩვენ მოვიყვანთ მარტო ქართველების სიას: Ივ. ბეზირგანოვი, მიხ. ბეზირგანოვი, სიმ. მახვახოვი, Ილ. Ჯორჯაძე, Ილ. მელიქოვი, პეტ. მელიქოვი, მიხ. სარაჯოვი, Ალექს. ხუციევი და Ალექს. Ჭავჭავაძე,—სულ, როგორც ადრეც იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, 9.

„Ამათში Ვსევოლოდ Ვოევოდსკიმ (Პოლშელმა) დაიმსახურა ოქროს მედალი და Ივ. ბელოვმა (რუსმა)—ვერცხლისა.

„Პედაგოგიურმა რჩევამ გარდაწყვიტა, რომ შეიდი ამათგანი წარადგინოს სახელმწიფო ხარჯზე გასაგზავნად. (Ერთი ქართველი ურევია—Ალ. ხუციევი). Ამავე რჩევის გარდაწყვეტილებით, ოთხს ყმაწვილს მიეცემა სახელმწიფო ხაზინიდამ საგზაო ფული, ორს ხუთ-ხუთი თუმანი. Ამას გარდა იმ საზოგადოების ფულიდამ, რომელიც გიმნაზიასთან არის დაარსებული ღარიბ მოსწავლეთა შესაწევნელად, გადადებულია 800 მან., რომლიდამაც ერთს უნდა მიეცეს 200 მან. და დანარჩენ ექვსს თითოს ათ-ათი თუმანი.

„მომეტებული ნაწილი წლევანდელ კურს-შესრულებულებისა მიდის უნივესიტეტებში საექიმო ფაკულტეტზე.“

ძალიან კარგი იქნება, რომ დანარჩენ გიმნაზიების დირექტორებმაც გამოაცხადონ ხოლმე გაზეთებში მუდამ წელს ამგვარი ცნობები.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. Დ. Დადიანსა Დ. ნაზაროვს გამოსულიათ უმაღლესის მთავრობისაგან ქართულის გაზეთის „შრომის“ გამოცემის ნებართვა. Ეს გაზეთი, როგორც მოგეხსენებათ, გამოიცემა ქუთაისში, კვირაში ერთხელ; წლიწადში ეღირსბა შვიდ მანეთად.

როგორც გვაცნობებენ, პირველი ნომერი ამ ახალის ქართული გაზეთისა გამოვა შემოდგომაზე, ენკენისთვეში.

* * *

Ბაქოს გაზეთში იწერებიან Ახალთეკესაკენ ნავთი აღმოჩენილაო. Ათს ალაგას სცემენ ნავთის წყაროებსო და ამას გარდა ბევრგან გამაგრებული ნავთი მოიპოებაო.

* * *

Ზურიიდამ გვწერენ:

„Თუმცა უმეტესი ნაწილი Ზურიისა რკინის გზამ განზე დასტოვა სამხრეთისაკენ, მაგრამ ჩვენში ახლა დაიწყეს დიახ კაი პლანზედ სოფლის გზების კეთება და თან-და-თან უადვილდებათ აქაურ მცხოვრებლებს გარდატანგარდმოტანა მათის ჭირნახულისა. Ეხლა აქ თითქმის ყველგან ძალიან ადვილად შეიძლება მოგზაურობა ცხენით, ურმით და ფაეტონითაც.

„Ჯვარცმის სოფლის საზოგადოება Ბასილეთის, Ანსვანის და სხვები ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ ადრე უგზოობით. Ესენი არიან უმეტეს ნაწილად მთა-გორიანი ადგილები, მაგრამ აი ეხლა ჩახატაურის ფოჩტის სტანციიდგან ახალმა გზამ გაუხვია სამხრეთისაკენ, გაივლის პირველად Ჯვარცმის სასოფლო კანცელარიაზედ, აქედგან დაბა ხიდის-თავს და Ბასილეთის კანცელარიაზედ, აქედგან Ასკანის კანცელარიაზედ, შემდეგ Ბახვის და Დვაბზუის კანცელარიებზედ და შეუერთდება სოფ. Დვაბზუში დიდი შოსეს გზას Ოზურგეთის მახლობლად. Ეს გზა თითქმის ნახევარს Ზურიის მაზრას მოუტანს შესამჩნევ სარგებლობას.“

## ᲢᲐᲥᲡᲘᲐ

**საქონლის ხორაგეულობათა, რომელნიც იყიდებიან Ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დარბაზებით 15 დღის განმავლობაში, 16 ივნისიდამ 1 ივლისამდის.**

| | | |
|---|---|---|
| **გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| **Იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| **Ჯვარის-მამის პური:** | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| Ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |
| **Ღორის ხორცი:** | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

Ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც Ტფილისის ბაზრებში და მაღნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

ბ-ნო რედაქტორო! Უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ალაგი ამ ჩემს პასუხს შესახებ ბ-ნ ნ. Დიასამიძის წერილისა.

მე სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბ-ნ Დიასამიძეს შეეძლო ისე ბეჯითად ეპასუხნა იმ შენიშვნაზედ, რომელიც „Დროებაში“ იყო რუისის ბანკზედ. Არ ვიცი რა აზრში მოსასვლელია წარა-მარა ლაპარაკი მაშინ, როდესაც საქმე დღესავით ნათელია.

მე ამას ვამბობ, რომ პასუხი უნდა მოეცა თვითონ ბანკის ბუხგალტერს, რომელმანც ტყუილად იღო ჯამაგირი იმ რამდენიმე თვეში და რომელიც საქვეყნოდ აღიარებდა, (და თითქმის კიდეც იკვეხდა კალიის ხალხის თავმდგომ აზნაურებში), რომ ამ კალიის წყალობით სახლ-კარისთვის ვეღარ მიმიხედნიაო და ბანკი ხომ სულ დავაუქმეო. ბ-ნი Დიასამიძე კი ბრძანებს ბანკი სულაც არ მოცდენილა იმ ხანებშიო. ნუ თუ 251 მან. და 62 კაპ. (ოთხი თვის ნაწარმოები) მთელი წლის აღებ-მიცემობის (24503 მან. 83 კაპ.) მესამედს კი არა ან კი მეათედს შეადგენს? Ოც-და-ხუთ თუმნამდის ხომ ყოველ კვირა დღესაც შემოდის ხოლმე და არა მთელს ოთხ თვეში; მაისში 9 მანეთი შემოვიდა,, თიბათვეში 32 და აპრილში 55 მან. Ამ ფულებს ხომ გზა-ადგილსაც ვამოართმევდით მოვალეებსა და თავისუფალ დროს მოაქცევდით წიგნებში.

ბ-ნი Დიასამიძის პასუხი ისე არავის გააკვირვებს, როგორც თვითონ რუისელებს, რომლებიც საკუთარის თვალით ხედავდენ ბანკოსნების ყველა მოქმედებასა? ბ-მა Დიასამიძემ უნდა დაარწმუნოს ჩვენ, რომ ...კეთილსინდისიერობით მწარმოებლები ბანკში იყვნენ?!... Ან კი ვინ მისცემდა ამის ნებას, როდესაც ყველა სოფლები და, რასაკვირველია, რუისიც მთელ იმ ხანებში გახიზნულებსა ჰგავდენ: სოფელში ძაღლების მეტი არავინ რჩებოდა და იმათთვის ხომ არც ბანკი არის საჭირო...

მეორეც ესა: განა ეს მწარმოებლები ვინ არიან? Განსაკუთრებით ამ საქმის მწარმოებლად რომ იყოს მოწვეული უცხო ხალხი, ეს კიდევ სხვა არის, მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ესენი არიან რუისშივე მცხოვრებნი და მათთვის კვირაში ერთი უქმე დღე არ შეადგენს ისეთ დიდ მსხვერპლსა, როგორც ბ-ნი Დიასამიძე ფიქრობს. ბ-ნ Დიასამიძის ლაპარაკს კაცმა რომ ყური დაუგდოს, ეგონება, ვითომ ის საკუთრად და შემდეგ ბ-ნი Ზიორგი მამაცაშვილი არიან Ზურჯნის ამხანაგობისა. Ნუ დაივიწყებთ, რომ უკანასკნელს ეძლევა თვეში 25 მანეთი მაშინაც კი, როდესაც ბანკში შემოდის თვეში 9 მანეთი, ანუ სამი თუმანი. Თუ აღარ დაუშლიათ მწარმოებლებს, პენსია მოუთხოვონ, თორემ ხუმრობა კი არ არის ახალ-ვაზდობაში საზოგადოებისთვის თავ-განწირულება, ჯანის დალევა და ბოლოს კი ვინ იცის...

ბ-ნი Დიასამიძე ბრძანებს, თუ რა უსამართლობა არის, როდესაც ბანკის მწარმოებლებზე 450 მანეთი იხარჯება, თუ ზოგი ერთ თვეში მუშაობა მცირდებაო. Ერთი თქვენ თითონ გასინჯეთ, ბატონო, რომელს ბანსკა აქვს ამოდენა ხარჯი? Იერის ამხანაგობას დაუხარჯავს მწარმოებლებზე 177 მ., ხონისას 69 მანეთი და 73 კ. სხვა წვრილმანი ხარჯებით, და ბოლოს ხხვანჭკრის ამხანაგობას 20 მანეთი. როდესაც არც Იერის და არც ხვანჭკრის ამხანაგობა აღებ-მიცემობის სიდიდით რუისისას არ ჩამოუვარდება. Ამაზედ მეტი ანგარიშები წელს მგონია არ ყოფილან დაბეჭდილნი. Აი, ჩემი წერილის პასუხად რასა მწერს რუისიდამ ერთი ჩემი ნაცნობი კაცი:

„სწორეთ გითხრა, მარტში ბანკი კარგად მუშაობდა. თუმცა მაშინაც დადიოდა ხალხი კალიის თესლზედ, მაგრამ მაინც ისე სასტიკად არ ექცეოდნენ მაშინ ამ საქმესა. Აპრილიდამ აგვისტოს ნახევრამდის კი ათასში ერთხელ არ გაღებულა ბანკი. Შენგან არ მიკვირს: მთელ დიდ მარხვაში ხალხს ცოლ-შვილი ცალკე უწყდებოდა შიმშილით და საქონელი ცალკე და თუ იყო რამ, ფული მაშინ კინაღამ მისი ყუთიც თან არ გაიტანეს და შემდეგში ვიდრე არ გალეწავდენ; აბა ვინ რას იშოვიდა, ბანკში შესატანად.“

Ყური დაუგდეთ ახლა ბარათის მომტანი გლეხის პასუხს:—თითონ Ჟოჟეს ბიძა Ზეგენა მამაცაშვილი, რომელსაც ფული ემართა, არ აძლევდა ოთხი თვის სარგებელს, რადგან

ბანკი დაკეტილი იყოო და თუნდა ფულიც შემეტანა, მაინც უსარგებლოდ ეგდებოდაო. ქრისტეშობისთვიდამ აქამდის კიდევ ბანკში ორი შაურიც არავის უნახავს თვალითა; ჯერ სულ იმას ამბობდნენ, უნდა რაღაც ანგარიში შევადგინოთო და მერე რაკი ჯამაგირიც მოუკლეს, ხომ სულ ვულიაიცურეს და ყურს აღარას უგდებენ. რასაც წინათ მარტო შოჟეს ვაძლევდით, ეხლა სამი კაცი იღებს იმასა: დიასამიძის მეტი ყველანი ჯამაგირს იღებენ და შოჟე კიდეც ჯავრობს, რატომ ისევ ოც-და-ათ თუმანს არ მაძლევთო.“ X.

# რუსეთი

ხარკოვიდამ იწერებიან: ადგილობრივი ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე იმაზედ, რომ კალიის გაწყვეტა შემდეგისათვის სახელმწიფო ვალდებულებათ გახდეს ყველასათვის.

— მიცვალებული ხელმწიფის სახელობაზედ ეკკლესიის ასაგებად პეტერბურღის სამოქალაქო გამგეობაში შესულა 25 მაისამდინ ფულათ 129,904 მან. 30 კაპ.

— როგორც აცნობებენ „პეტერბურღის უწყებებს“, 3 ივნისს, ღენერალ ადიუტანტი გრაფი ლორის-მელიქოვი მიპატიჟებული ყოფილა სადილათ გერმანიის იმპერატორთან ვილჰელმთან ემსში.

— „მოსკოვის ტელეგრაფი“ სწერს, რომ გერმანიის კანცლერმა თ. ბისმარკმა წინადადება მისცა ევროპის სახელმწიფოებს, საზოგადოების დასამშვიდებლათ, მიიღონ საშუალება უცხოეთის გაზეთების კორრესპონდენტების წინააღმდეგ, რომელნიც ხშირად აღელვებენ საზოგადოებას, ვითომც ნამდვილის და დიდ მნიშვნელობითის ამბების დაბეჭდვით; ამასთანავე გააფთხილონ გაზეთების ყველა რედაქციები, რომ შემდეგში წინ დახედულნი იყვნენ ამ საქმეში. ამ ცნობას გაზეთი უმატებს, რომ ის საშუალება, რომელსაც თ. ბისმარკი ურჩევს სახელმწიფოებს, მდგომარეობს იმაში, რომ შემოიღონ ჟურნალ-გაზეთების შესახებ ხელ-ახლად ადმინისტრატიული, სასტიკი კანონები უწინდელ დროისა. ამ წინადადების მიზეზი ყოფილა გერმანიის სოციალ - დემოკრატების მოქმედების გაძრიელებ. ამასთანავე ამბობენო, სწერს „ტელეგრაფი“, რომ რამოდენიმე ლიბერალური გაზეთისათვის, რომელნიც დღემდის უცენზუროთ გამოდიოდა გერმანიაში, ეხლა ცენზურა დაწესდებაო. ამბობენ, რომ პეტერბურღშიაც აქვსთ განზრახვა ამავე წესების (ცენზურის) შემოღებისა.

# უცხოეთი

საფრანგეთი. ქ. მარსელში 7 ივნისს 8 საათზე საღამოს მომხდარა შეტაკება ფრანცუზებსა და იტალიელებს შუა, რომელიც გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში, სანამ მოასწრეს ჯარის დახმარებით იმათი დამშვიდება. ამბობენ, ამ შეტაკებაში მომკვდარა რვა კაცი და დაჭრილა ოც-და-ათამდინ. იტალიის კონსულს მიუმართავს ხალხისათვის, რომელსაც ურჩევს სიმშვიდისა და წესიერების დაცვას. „ნუ გაუგონებთ ზოგიერთ ბოროტ-განზრახ პირებს, ამბობს კონსული, რომელთ უნდათ იტალიელებსა და მშვიდობიან მარსელებს შორის უსიამოვნება დანერგონო. 9 ივნისს, ნაშუადღევს ხუთ საათზე, ფრანცუზის მუშების წარმომადგენელები მოსულან შიულენის ტყავის ქარხანაში და თხოულობდნენ დაეთხოვნათ იტალიელი მუშები; წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე დღეს, დილით, მოვლენ ექვსასი კაცი ფრანცუზის მუშები და არ მიუშვებენ იტალიელებს სამუშაოთაო.

ქალაქის ქუჩებში დაყენებულია ჯარი, ღამით ქუჩებზედ სიარული აღკრძალულია: დატუსაღებულია ორას კაცამდის.

— პარიჟიდამ სწერენ „ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოს“, რომ ერთს შეკრებილებაში გამბეტამ სთქვა, რომ ათი წელიწადია, რაც ხალხი განთავისუფლებულია და ბედნიერია რესპუბლიკის ხელში!

„ეხლა აღარ სუფევს საზარელი პირადი უთანხმოება, შევიქენით თანასწორი რესპუბლიკის წინაშე. თუ, ამ ჟამად ჩვენი მეცადინეობა არ დაგვიგვიანდა, ხვალ უფრო მომეტებულის გულ-მხურვალებით შეუდგებიან საქმეს. ამბობენ, რომ მე ბევრ დეპარტამენტებში ვიყრი კენს. მე ვიცი მხოლოდ ერთი მაზრა, სადაც ვიყრი კენჭს და სადაც არავის არ შეუძლია საფუძვლიანათ მედაოს კანდიდატობაზე.“

—

ბოლგარია. სოფიიდამ იწერებიან 8 ივნისს, რომ ოთხმოც-და-ცხრამეტმა სოფელმა მღვდლების თანადასწრებით შეჰფიცეს ერთმანეთს დაიცვან კონსტიტუცია.

— გრაფ იგნატიევს მიუწერია პასუხად ცანკოვისათვის, რომ მას არ შეუძლია გაერიოს ბოლგარიის შინაგან საქმეებში. ცინკოვს გაუგზავნია დეპეშა გორჩაკოვისათვის და უთხოვნია მოაშორონ ბოლგარიას უცხო ქვეყნის აფიცრები, რომელნიც ყოველ გვარ საშუალებას ხმარობენ იქონიონ გავლენა ამორჩევებზედ, და ამასთანავე გააქსენოს ბოლგარიის მთავრობას მისი ფიცი კონსტიტუციის ხელ-უხლებლათ დაცვისა.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმეთ წარმოება

(გაგრძელება *)

### სტიპენდიატები

წარსულს წელიწადში საზოგადოების მმართველობას არ მიუღია ახალი სტიპენდიატები; ექვსი სტიპენდიანტი, რომელსაც პირველ წელიწადში მიიღო მმართველობამ გორის სამოსწავლო სემინარიაში, სწავლობენ—ორი პირველს კლასში და ოთხი დანარჩენი—მეორეში. ამათ შესაწევრად მმართველობას არ დაუხარჯავს შარშანდელზედ მომეტებული ფული, თუმცა სემინარიის მთავრობის საშუალებით იმათ სთხოვეს მმართველობას მომატება. ამ გვარი მომატება მმართველობამ ვერ შეიძლო, რადგანაც საერთო კრებისაგან დამტკიცებული სმეტა არ აძლევდა ნებას და ამასთან ფიქრობდა, რომ წელიწადში 130 მანეთად იმათ შეუძლიანთ გორში ცხოვრება. მმართველობამ სთხოვა სემინარიის მთავრობას, რომ, პირობისამებრ, სტიპენდიატები მიეღოთ სემინარიის პანსიონში ამ ფასით; მაგრამ მთავრობამ ადგილის უქონელობისა გამო უარი განაცხადა.

ჩვეულებრივ ხარჯს გარდა მმართველობამ გაუგზავნა სტიპენდიენტებს 48 მანეთი სახელმძღვანელო წიგნების საყიდლად.

### პრემია

საზოგადოების წესდების მეორე §-ის ძალით მმართველობამ პირველს წელშივე დანიშნა პრემია პირველ დაწყებით კურსის წიგნების შესადგენელათ. საპრემიოთ იყო გამოცხადებული არითმეტიკა, გეოგრაფია და საქართველოს ისტორიიდამ და ბუნების მეტყველებიდან ადვილათ საკითხავი მოთხრობები. პრემიის ვადათ იყო დანიშნული ამ წლის 1-ლი თებერვალი და ამ დროსთვის სხვა-და-სხვა, ჯერეთ უცნობ პირთაგან, წარდგენილ იქმნა საზოგადოების კანცელარიაში: ერთი მოთხრობა საქართველოს ისტორიიდამ, ორი გეოგრაფია, ერთი არითმეტიკა და ერთიც მოთხრობა ბუნების მეტყველებიდან.

ამ წიგნების განხილვა მიენდო მართებლობის წევრებს და გარეშე პირთაც. თვითეულის მათგანის წარმოდგენილი ჰაზრი და თვით თხზულებაც გასაშინჯავათ გადაეცემა დანარჩენ წევრებს და შემდეგ მმართებლობა საერთოთ გასინჯავს და გადასწყეტს, რომელს ამ წიგნთაგანს მიეცეს საზოგადოების პრემია.

ერთი ამ წიგნთაგანი უკვე განხილულ იქმნა, მაგრამ მმართველობამ ვერ იცნო პრემიის ღირსად.

### ახალი წიგნების ბეჭდვა

საერო კრებამ ამ საგანზედ ექვსი ათასი მანეთი დანიშნა წასრულ წლის საერთო კრებაში.

ჯერ, სანამ პრემიის წიგნების საქმე არ გარდაწყვეტილა, მართველობამ ვერ დაიწყო სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა: დაიბეჭდა მხოლოთ ორი საყმაწვილო წიგნები: „წითელი ფანარი“ ფუჩეტიჩისა და „ხატაური“ შმიდტისა; პირველი თავ. გ. ზ. ანდრონიკოვის გარდმოთარგმნილი და და მეორე კნ. ა. მ. თუმანიშვილისა. ეს ორი წიგნი მოწონებულია რუსეთის პედაგოგიურ ლიტერატურაში და დაჯილდოებულია ფრებელის პრემიით.

ამ წიგნების მთარგმნელებმა უსასყიდლოთ დაუთმეს საზოგადოებას თვისი თარგმანი.

### საზოგადოების ბიბლიოთეკა.

საზოგადოების ბიბლიოტეკა, თუმცა ჯერ საყოველთაო საკითხავად არ გამართულა, ცოტ-ცოტათ—მატულობს. ამ წელს მმართებლობამ უმთავრესი ყურად-ღება მიაქცია ხელნაწერ წიგნებს, რადგანაც ეგ ხელნაწერები შესაძლოა თან-და-თან ხელიდამ გამოსცლოდა ქართველობას და დაჰკარგოდა.

ამ ანგარიშის ბოლოს მმართველობა მოახსენებს საერთო კრებას ამ ბიბლიოტეკის წიგნთა სიას.

### ქართული გალობის შემწეობა.

წარსული წლის 15 ივნისიდამ საზოგადოებას მმართველობამ, ქართული გალობისათვის აღსადგენელათ დაწესებული კამიტეტის შუამდგომლებით, დაუნიშნა ქართული გალობის ლოტბარს, თფილისში, წელიწადში თორმეტი თუმანი. საზოგადოების მმართველობამ იფიქრა, რომ ეს შემწეობა გარდა იმისა, რომ ძლიერ სასარგებლოა საზოგადოთ ჩვენი ქვეყნისთვის, თითონ სკოლებისათვინაც არის დიდათ საჭირო და მაშა—სადამე არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ჰაზრსა. ეს შემწეობა მმართველობის აზრით კიდევ ერთს წელიწადს გასტანს და შემდეგ საზოგადოების წევრის—ყოვლად-უსამღვდელოესს ალექსანდრეს მეცადინეობით ქართული გალობის საქმე ისე დამყარდება, რომ ეს საზოგადოების შემწეობა აღარ იქნება საჭირო.

### ქუთაისის სააზნაურო სკოლა.

ქუთაისის სააზნაურო სკოლა, რომელიც საზოგადოების უწყებაში არის, წასრულს წელში კარგათ იყო წარმართული. მომავალი წლისათვის ამ სკოლაში საჭირო შეიქმნა პარალელური კლასების გახსნა და მმართველობას შუამდგომლობით ჩვეულებრივ სმეტის გარდა ამ წელს მიხაილოვის ბანკის წევრთა საერო კრებამ გადასდვა ამ საგანზედ ორი ათასი მანეთი.

სკოლა მეურნოების მხრით ამ წლის იქით თავისუფალია საზოგადოებისაგან; მის მეურნოებას განაგებს მზრუნველობა სკოლისა. სამასწავლო მხრით-კი სკოლა სრულს დამოკიდებულობაში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან.

### საზოგადოების სასარგებლოთ შემოწირულობა

წარსულ წელში საზოგადოების ყურადღება არ მოკლებია წერა-კითხვის საზოგადოებას.

წევრმა — დამფუძნებელმა გ. დ. ქართველიშვილმა შემოსწირა საზოგადოებას ორი მომგებიანი ბილეთი მეორე სესხისა იმ პირობით, რომ თუ

*) იხ. „დროება“ № 123.

ოდესმე მოგება ერგო ამ ბილეთებს, მოგების სარგებლით მისი სახელის სტიპენდიეტები გაიზარდნენ მაღალ სასწავლებლებში.

საზოგადოების დამფუძნებელმა წევრმა კნ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შემოსწირა საზოგადოებას 500 მანეთი.

წევრმა—დამფუძნებელმა თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შემოსწირა საზოგადოებას ათასი მანეთის მიბარებულებითი ბილეთი თ. ი. კ. მუხრანსკის და ამხ. ბანკისა, იმ პირობით, რომ ეს ფული მოხმარდეს ბათუმის სკოლის სახლის აშენებას.

კნ. ციციშვილმა გამოუგზავნა მმართველობას ხუთი თუმანი ფული იმ პირობით, რომ ეს ფული მოხმარდეს იმ სასოფლო სკოლას, რომელიც უნდა გაიმართოს სურამში. ეს ფული არის მოკრებილი სურამის სცენის მოყვარეთაგან.

ამას გარდა კნ. ი. გ. ჭავჭავაძემ და კნ. ი. შალიკაშვილმა შემოსწირეს მმართველობას სხვა-და-სხვა ხელთნაწერი და დაბეჭდილი წიგნები.

ბატ. ექვთ. ხელიძემ შემოსწირა საზოგადოებას სხვა-და-სხვა წიგნები, რვა თუმნათ ღირებული.

ბატ. ი. დავიდოვმა შემოსწირა შვიდი მანეთის წიგნი.

ბატ. როინოვმა შემოსწირა კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხების ტიპები.

დამფუძნებელმა წევრმა თავ. ვ. გ. მაჩაბელმა გამოუგზავნა მმართველობას სამი ბილეთი აღმოსავლეთის სესხისა, სამას მანეთათ ღირებული.

გენერალ-მაიორის თავადის გრიგოლ შარვაშიძის მეცადინეობით საათფხაზოს თავად-აზნაურობისაგან მოუვიდა საზოგადოებას 186 მანეთი რომელიც თავადს შარვაშიძეს შეუკრებია საბხაზოში 31 წევრთაგან, რომელთაც გამოუგზავნეს ეს ფული და ითხოვეს საზოგადოების ნამდვილ წევრებათ მიღება.

ამას გარდა მმართველობისგან გამართული ბალისგან საზოგადოებას შემოუვიდა 500 მანეთი.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ქიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათი** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და პეტროვსკი — შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუზარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს რდაიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

# განცხადებანი

## ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—89)

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით.

(100—7)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

(100—72)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-ჰყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—107)

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწევებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პალნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის.

(15—7)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შიო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაგინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქების და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას იგარები.

(100—87)

## ისყიდება ინგლისის მაღაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პალნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები, უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მაგნეზია და წუურვილისაგან ლეპიოშკები, ციებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ.

(15—8)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,



# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმარონ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—9) ვ. კარპინსკი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი